

თავისუფალი საქართველო

მრავალი გახილვის
საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

13. XII. 1991 წლის 50 კაბ. № 47 (52)

ანდრია პირველწოდებული



საქართველოს სამოციქულო ეკლესია და მსოფლიო მართლმადიდებლობა 30 ნოემბერს (ახალი სტილით — 13 დეკემბერს) დღესასწაულებს საქართველოს პირველი განმანათლებლის — ანდრია პირველწოდებულის ხსენებას.

ჩვენს უფალსა და მაცხოვარს იესო ქრისტეს ჰყავდა მრავალი მოწაფე და მოციქული. უმთავრესი თორმეტი მოწაფედან ერთ-ერთი, ანდრია იყო, რომლის ზედწოდება (პირველწოდებული) მიგვითითებს, რომ იგი სხვებზე უფრო ადრე დაეწაფა უფალს (იოანე 1,40).

ძველ საქართველოში უძველეს შემართებლად იყო აღიარებული წმიდა ანდრია და სხვა მოციქულების ჩვენში მოღვაწეობა და ქადაგება. ახალ დროში, განსაკუთრებით XX ს-ის დასაწყისში, წმ. ანდრია საქართველოში ქადაგებას დაიწყო და გამოცხადდა. უარყოფილებს ერთ თავის არგუმენტად ისიც მიანიშნავს, რომ იბერია უმნიშვნელო ქვეყანა იყო, რომელსაც არ შეეძლო მოციქულთა ყურადღების მიპყრობა.

სინამდვილეში, მოციქულთა მო-

ღვაწეობის ეპოქაში, I ს-ის 30-იანი წლებიდან, II ს-ის 60-იანი წლების ჩათვლით იბერია იყო ძლიერი სახელმწიფო, რომელიც ფაქტობრივად მოიცავდა ამიერკავკასიის I-II საუკუნეების საქართველოს, სილიციას და სხვა მიწებს, მხოლოდ დაგვიანდნის შემდეგ იბერია დაიკარგა და დაიშალა.

მოციქულთა ეპოქის იბერია სახელმწიფო და ცნობილი ქვეყანა იყო მთელს მახინჯელ მსოფლიოში. ამიტომაც, რომელიც ისტორიკოსები — ტაციტუსი, დიონ კასიუსი და სხვები სიამოვნებით უთმობდნენ თავიანთ თხზულებებში ადგილს იბერიის სისხლსავსე ცხოვრების აღწერას, ხოლო შუა საუკუნეთა ევროპელები, ანტიკური დროის იბერიას უკეთ იცნობდნენ, ვიდრე თავიანთი დროის საქართველოს.

I-II საუკუნეებში სამი სახელმწიფო — რომა, იბერია და პართია ერთმანეთს ეცილებოდნენ ვრცელ მიწებს ამიერკავკასიის სამხრეთით. იბერია იმდენად იყო გაძლიერებული, რომ მას შეეძლო რომაელ-

თა დახმარების გარეშე დაემარცხებინა პართიის სახელმწიფო (სპარსეთი). იბერიამ რამდენჯერმე დაიმარცხა კიდევ პართიის ჯარი. ამ მიზეზის გამო რომს ეწინააღმდეგის პეტრისმეტი გაძლიერებისა.

იმპერატორმა ავგუსტმა, რომლის დროსაც, წმიდა ანდრია და მაცხოვარი ჩვენი იესო ქრისტე (ლუკა 2, 1), საფუძველი დაუდო მეგობრულ ურთიერთობას რომის იმპერიასა და იბერიის სახელმწიფოს შორის.

მეგობრობამ რომსა და იბერიას შორის, რომელიც გრძელდებოდა I-II საუკუნეთა მანძილზე, გაძლიერდა და განაღდა იბერია.

ძველ ისტორიკოსთა ცნობებს იბერიის შესახებ ადასტურებენ არქეოლოგები, რომლებიც იმდროინდელი მატერიალური კულტურის ძეგლების შესწავლის საფუძველზე ასკვნიან, რომ ქართველ ერს ასეთი მდიდარი და ბრწყინვალე სახელმწიფო არასოდეს ჰქონია, თუ არ ჩავთვლით თამარის ეპოქას.

აღსანიშნავია, რომ გზები სპარსეთისა და ინდოეთის, აგრეთვე სკვითისა, გადიოდა სომხეთსა და ამიერკავკასიაში. სომხეთი კი, იმ დროისათვის იბერიის პოლიტიკური გავლენის სფეროში შედიოდა და მას ხშირად ქართველები მართავდნენ. სკვითთა მიმართ მოციქულები, და, ცხადია, მათ შორის ანდრია პირველწოდებულიც, რომელსაც საზოგადოდ მიიჩნევენ სკვითის განმანათლებლად, გახსნენ აუქციონდენ იბერიას, რადგანაც იბერია გადიოდა არა მარტო შავ ზღვაზე, არამედ „კასპიის ზღვამდე“.

„ქართლის ცხოვრება“ ანდრია პირველწოდებულის შესახებ გადმოგვცემს: ანდრიაში შემდგომ მოციქულებშია წილი ივდეს, თუ ვის რომელ ქვეყანაში უნდა ექადაგა. მაშინ ყოვლადწმიდა ღმრთისმშობელს წილი ჰგდა საქართველოს მოქცევა. მაგრამ მას ერგვნა ძე მისი, უფალი ჩვენი იესო ქრისტე, და უთხრა: პოე, დელო ჩემი, მე არ უღულებელეყოფ ყველა სახლზე უფრო ხაზურით ქართველ ერს, მაგრამ შენს სხვებზე უფრო საქართველოში უნდა წარავლინო ანდრია პირველწოდებული. მას თან გაატანე შენი ხატი, რომელიც შენს პირზე დადებით გამოისახება. შენს წილს ხატი მკვიდრობდეს იქ, მათ მცველად უუყნისამდე.

მაშინ ყოვლადწმიდა ღმრთისმშობელმა უთხრა ანდრია მოციქულს: შეილო ანდრია, დიდად უჩანს ჩემს სულს, რომ ჩემს წილს ქვეყანაში — საქართველოში — არავის უქადაგნია ჩემი ძის სახელი. როცა მე ჩემს წილზედ ქვეყანაში საქადაგებლად წასვლა განვიზრახე, გამომეცხადა სახიერი ძე ჩემი და ღმერთი და მიბრძანა, რომ შენ წასვიდე და თან წარიტანო სახე ჩემი, რათა მე ვიყო ქართველთა ცხოვრების განმგებელი, ხელი აღვუყრა და შევეწიო მათ, და არავინ მტერთაგან მძლე-ქმნას მათ.

ყოვლადწმიდა მთითხოვა ფიცარი, დაილო სახეზე და სასწაულებრივად აღიბეჭდა ფიცარიც ხატი ღმრთისმშობლისა. მისცა ეს ხატი ანდრია მოციქულს და უთხრა: მადლი და შეწევნა ჩემგან მთბოლისა უფლისა თანაშემწე გეყავნ შენ, სადაცა ხვიდოდე, და მეცა თანაშემწე ვარ ქადაგებნას მაგას, და დიდად შევეწივი ჩემდა სხვებებს.

ანდრია მოციქული პირველად ლაზიკის ქალაქ ტრაპიზონში მივიდა. აქ მცირე ეამი დაყო და აქედან იგი შევიდა „ქართლის ქვეყანაში, რომელსაც დიდ-აქურა ეწოდებოდა“. დაიწყო სახარების ქადაგება. მრავალი ქირი და განსაცდელი მოითმინა ურწმუნოთაგან. ღმრთისა და წმიდა ხატის შეწევნით ყოველი მადლობით მოითმინა, და მანამდე იქადაგა, სანამ ყველა არ მოაქცია მორწმუნედ. იმ ადგილას, სადაც ყოვლადწმიდის ხატი იყო დასვენებული, გადმოჩქეფა ფრიად დიდად და მშვენიერმა წყარომ. შემოკრებილი ანდრია მოციქულმა ნათელ-სცა სახელითა მამისათა და მისათა და სულისა წმიდისათა, დაუდგინა იქაურ ქართველებს მღვდლები და დიაკვნები, დაულო წესი და საზღვარი სარწმუნოებისა. მათ ააშენეს ღმრთისმშობლის სახელზე ეკლესია.

იქიდან ანდრია მოციქული წამოვიდა, გადმოვიდა მთა, რომელსაც რკინის ჯვარი ეწოდებოდა. გადმოვიდა მასზე რკინის ჯვარი თვით ანდრიას აღუმართავს.

მოციქულმა ჩაიარა თბილისის სვეტი, მივიდა სამცხის საზღვართან და დაივიანა სოფელ ზადნგორაში. თავისი ლოცვით იქ დაამხო კერპები. შემდეგ გაემართა და მივიდა სოფელ აწყვერში, რომელსაც სოს-ანგეთი ეწოდებოდა. ამ სოფელში მოციქულმა წმ. ხატის შეწევნით

გააცოცხლა ამ მხარის მთავრის — ქვრივი დედაცაც სამიძვიარის — ვაჟი, ამის შემდეგ დაამხო არტემიდასა და აბოლონის კერპები. ამ სასწაულოთა მანსველმა ხალხმა ირწმუნა ქრისტიანული უფალი და მთონათონენ. მოციქულმა ასწავლა მათ ყოველი წესი და რაჯული სარწმუნოებისა, დაუდგინა ეპისკოპოსი, მღვდლები და დიაკვნები, და დიდი თხრობის შემდეგ დაუტოვა მესხებს ყოვლად წმიდა ღმრთისმშობლის ხატი.

ამის შემდეგ ანდრია მოციქულმა ქადაგებით მთიარა საქართველოს სხვადასხვა კუთხეები, მათ შორის დასავლეთ საქართველო. როცა აღერკი მეფემ შეიტყო მესხებისა და მეგრელების მიერ ძველი რაჯულის დატოვება, გაუწყრა მათ, გაგზავნა იქ თავისი ერისთავები და იძულებით კვლავ წარმართობას დაუბრუნა.

„ქართლის ცხოვრების“ თანახმად, ანდრიას მოგზაურობის დროს თან ახლდნენ მოციქულები — მატათა და სვიმონ კახანელი. სვიმონ კახანელის განსასვენებელი საქართველოშია — ნიკოფსიაში; მატათა მოციქულიც ჩვენს ქვეყანაშია დაქრძალული — აფხარში (ლევან-დელი გონიო).

საქართველოდან ანდრია მოციქული შავიზღვისპირეთის გავლით გადასულა სკვითთაში. ერთი ცნობის თანახმად, იგი გაპყლია მდინარე დნებრს და ბალტიის ზღვის გავლით მთელი ევროპისათვის შემოუვლია. სხვა ცნობით, ანდრია მოგზაურობა გააგრძელა შავიზღვისპირეთში და დუნაის გავლით რომში ჩავიდა.

ანდრია მოციქულს უქადაგნია საქართველოსა და მცირე აზიაში. გადმოვიდა იგი ჯვარს აცვეს X-ის ფორთის ჯვარზე.

საქართველოს წმიდა ეკლესია საუკუნეთა მანძილზე უდიდეს თავყვანს სცემდა ქართველი ერის განმანათლებლსა და ქრისტიანობის უპირველეს ქადაგებელს საქართველოში — წმიდა ანდრია მოციქულს. დღესაც, ერთგული აღორძინების ეპოს, მისი ლოცვა შეეწიოს კეთილ-მორწმუნე ქართველ ერს, რომელიც მის მოწოდებებზე პეტრესავით მტკიცებდნენ შეუდგა მის კვალს და სიწმინდით ივლის აღსასრულამდე ეამთა, ამინ.

ესკოპოსი,
ანანია ჯანაშიაძე

ქართველ სტუდენტთა გასაგონად

პარტიის ისტორიაში დგება ხოლმე დრო, როცა უამრავი სხვადასხვა პლანის მიზეზის გამო, ისე იწყება მოვლენათა მიმდინარეობა, რომ თანამედროვეებისათვის მეტად ძნელდება მტყუან-მართალსა და მტერ-მოყვარეს შორის სწორი არჩევანის ტვიის სასიკეთო და რა საზიანო. ამის დასტურია მთელ მსოფლიოში გაბატონებული და ყველაზე სრულყოფილად მიჩნეული, მრავალჯერ აპრობირებული წესი უმრავლესობის ნების თანახმად ხელისუფლების ფორმირებისა. ეს წესი ედებს

საფუძვლად ნებისმიერი დემოკრატიული სახელმწიფოს მმართველობით პრინციპს.

დამონებული, ხელოვნურ, დამორჩეულ პირობებში აღზრდილი ადამიანის ცნობიერებაში, მის თავისუფალ ნებაზე ხანგრძლივი ძალისხმევის ნება სოციალური პრობლემების იწვევს, რომ ამ ადამიანისთვის ძნელდება უცდომელი არჩევანის გაკეთება.

ამისი ყველაზე თვალნათელი მაგალითია ჩვენი ერის უცნაური არჩევანი მე-20 საუკუნის დასაწყისში. საქართველომ უარყო ერთგული დამოუკიდებლობის გზა და თავისი ნება სოციალური პრობლემებისა და მატერიალური კეთილდღეობის უპირატესი მნიშვნელობის აქცენტირებისკენ მიმართა. არ არააღქმავტურ ცნებას შორის — სიმამრე თუ თავისუფლება, ქართველობამ სიმამრე აირჩია. მიუხედავად იმისა, რომ, ალბათ, არ

იყო ძნელი ამ დროს ცნების შეთავსება, მით უფრო საქართველოში, სადაც ისტორიულად არ ყოფილა დიდი შიმშილობა, მაშინდელმა ქართულმა ცნობიერებამ, რატომაც, მათი ერთმანეთთან დაპირისპირება არჩია და რეზულტატად არ დააყვანა — შედეგად ხანგრძლივადიანი მშვიერი და სასტიკი სოციალიზმი მივიდეთ. ჰაობიანმა ფინეთმა, რომელმაც დევინა თავისუფლება აირჩია, 70 წელიწადში სიმამრისა და კეთილდღეობის ისეთ მწვერვალზე მიიღწია, რაზეც მხოლოდ ოცნება ან ჩურჩულით ლაპარაკი თუ შეიძლებოდა იმ ქვეყანაში, სადაც ხალხის ერთადერთ საზრუნავს, იმავე 70 წლის მანძილზე, საქმლისა და ჩასაცემლის როგორმე შეგნა შეადგენდა.

იმ საშინელი არჩევანის გამო, მთელი პასუხისმგებლობა მაშინდელ განათლებულ საზოგადოებას ეკისრება, სწორედ მათი მეშვეობით და-

ინერგა და გაბატონდა საქართველოში აზრი, რომ ერთგული, ნაციონალისტური, რელიგიური, ტრადიციული პროგრესისა და წინსვლის დამაბრკოლებელი ცნებებია, ხოლო ინტერნაციონალური, ათეისტური, სოციალისტური და კომუნისტური იდეალები სამომავლო წარმატებისა და ყველა ერის თავისუფალი განვითარების ერთადერთი გარანტია.

საქართველოში მე-19 საუკუნის 90 წლებში, ილიას „ივერიის“ სულ 400 მკითხველა ჰყავდა (ასეთი აყოფა პირობების არ არსებობის გამო). პროგრესულ აზროვნებას აყოლილმა მაშინდელმა საზოგადოებამ შეუძლებლად სცნო იმ პარტიული შემართების შეგნება, რომ ერთგულ დამოუკიდებლობას აღტრინატივა არ გააჩნია. მისი დაპირისპირება არც ერთ იდეასთან, არც ერთ ცნებასთან არ შეიძლება, რადგან მხოლოდ დამოუკიდებლობა შეიძლება იყოს გარანტი ერის ბუნებრივი განვითარებისა, რაც დროთა

განმავლობაში აუცილებლად მოიტანს იმას, რასაც პიროვნების თავისუფლებას, დემოკრატიას, კეთილდღეობას, სამართლებრივ ურთიერთობებს, კულტურულ ადვანსებს, პროგრესს ვეძებთ. ყველა ეს პროცესი მხოლოდ პოლიტიკური და ეროვნული დამოუკიდებლობის დროს შეიძლება განხორციელდეს. ანუ დამოუკიდებლობამ ყველაფერი ეს უნდა მოიტანოს, ხოლო ცალკე დამოუკიდებლობის დამოუკიდებლობას ვერ მიგვახსოვდება. მაგალითად ავიღოთ, თუნდაც „შოტლანდია“ — ეს დემოკრატიული, სტრუქტურების ქვეყანებია, მაგრამ ამით მათ დამოუკიდებლობას არაფერი ემატება — ამის საპირისპიროდ კი ამერიკა, რომელიც ახერხებს ინგლისის მკვირბელობისგან თავის დაღწევას, ქმნის სუპერდემოკრატიულ სახელმწიფოს.

ერთი სიტყვით, დამონებული ქვეყნების ფუძე ინტერესი დამოუკიდ-

(დასასრული მე-2 გვ.)

მწიბნ შორიდან დავიწყებ.
სომ გახსოვთ, მეგობრებო, თუ რა სიტყვები გახსოვდა ყველაზე ხშირად 1989 წლის აპრილის დღეებში.

ერთი წამიწყებდა:
„დამოუკიდებელ საქართველოს გაუმარ...“
და ყველა იერთად დაეკრებოდა:

„...ქოს!“
საით იყო მიმართული ეს ლოზუნგი?

იგი მიმართული იყო იმპერიისკენ, მისგან უნდა გავსდეთ დამოუკიდებელი, მის კლანჭებს უნდა გამოვუდეთ თავი.

და ლოზუნგში იგულისხმება: იმპერიაა ცული, იგი ელოდება წინ ჩვენს დამოუკიდებლობას.

სექტემბერი-ოქტომბრის ქართული პუტჩის დროს, კი, ოპოზიციამ სულ სხვა ლოზუნგი ააფრიალა.

ერთი წამიწყებდა:
„თავისუფლებას საქართველოში გაუმარ...“
და ერთად დაამთავრებდნენ:
„...ქოს!“

ამიტომ იმდრო აღარ ვთქვი, დაქულებდნენ-მეთქი, რომ ლოზუნგის უკან არ იტყობოდა მთელი საქართველოს გულისთქმა. ერის მხოლოდ მცირე ნაწილი იყო ეს ლოზუნგი.

რატომ არ აპყვა ერი ოპოზიციის ამ ლოზუნგს?

განა თავისუფლება ცულია? ერი არ აპყვა ამ ლოზუნგს იმიტომ, რომ ლოზუნგი ხელისუფლებამდე იყო მიმართული, ხოლო ეს ხელისუფლება თავი აიჩინა ერმა.

ვინც ყვიროდა „თავისუფლებას საქართველოში გაუმარ...“, ამით ამბობდა, ეს ხელისუფლება ცულია, ის არ გვიშვებს, რომ თავისუფლად ვიცხოვროთ საქართველოში.

აი, ესაა შეცდომა.

სახელმწიფოში ცხოვრება რომ ნამდვილად თავისუფალი იყოს, ეს მხოლოდ ხელისუფლებასზე არაა დამოკიდებული.

თავისუფალი, ანუ დემოკრატიული ცხოვრება სახელმწიფოში, უპირველეს ყოვლისა, დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორია ცალკეული პირთა უფლებების ცნობიერება.

რამდენად უფრო მეტი პიროვნება გვეყოლება თავისუფალი ცნობიერების მქონე, იმდენად უფრო თავისუფალი, ანუ დემოკრატიული გახდება ცხოვრება საქართველოში.

როგორც დიდი ხანი დასჭირდა დღევანდელ დღემდე მოსვლას, რომ უკვე თითქმის ყველა ქართველი დაწვრილდა საქართველოში, რომ დამოუკიდებლობა არაა, ასევე დიდი დრო დასჭირდება იმას, რომ ცნობიერება ქვეყნისათვის თავისუფალი გახდეს ყველას.

ბოლო ორასი წელი ისეთი ჯოჯოხეთური იმპერიის ტყვეობაში ვიყავით, რომ ძალიან ძნელი გაგვქვს გასასვლელი, ვიდრე ცნობიერებას გავითავისუფლებთ.

1977 წელს ზვიად გამსახურდიანს და მერაბ კოსტავას სულ რამდენიმე თანამოაზრე პყავდა.

როგორ მოხდა, რომ ახლა უკვე თითქმის მთელი ერი დამოუკიდებლობის მომხრე?

დამოუკიდებლობის იდეა რომ ასე გავრცელდებოდა იყო ერი და ყველასთვის სისხლმორცხული გამხდარიყო; ამისთვის აუცილებელი იყო გარკვეული გარემო პირობები. კერძოდ — ისტორიულად მომწიფებული მომენტის ამ უკანასკნელი იმპერიის დახრევისა.

ასევე, ცნობიერების მთლიანად გათავისუფლებას და ამით ქვეყნის იმპერიის განადგურებას და მთელი ქვეყნის დემოკრატიის დამკვიდრებას სჭირდება გარკვეული პირობები. კერძოდ — დიდხანს ცხოვრება ქვეყნისათვის დამოუკიდებელ საქართველოში.

„დამოუკიდებლობა“ პოლიტიკური ცნებაა, ხოლო „თავისუფლება“ — ფილოსოფიური.

რა არის დამოუკიდებლობა? არ გავერთხილებოდა ეს რომ განვიმარტო.

დამოუკიდებელია ქვეყანა, რომელსაც თავზე სხვა არ ახის, პყავს თავისი ხელისუფლება, მთავრობა, არმია, აქვს გამაგრებული საზღვრები, საბაჟო და საკუთარი ფული.

თავისუფლება რაა? ავიღოთ, მაგალითად, პრესა.

(პრესის იმდრო ვიღებთ მაგალითისთვის, რომ ოპოზიციის ერთ-ერთი მთავარი პრეტენზია ესაა, სიტყვის თავისუფლება არა გვაქვს). რომელია თავისუფალი გაზეთი? ის, რომელსაც ვერავინ ვერაფერს უბრძანებს, აი, ეს უნდა დაბეჭდოს და ეს არაა? მაშინ ავშენებულვართ და ეგ არის.

ამჟამად კაცი არ ეკითხება ვინმეს, რასა ბეჭდავ შენს გაზეთში. აი, გაზეთი „ნატურისთვალ“.

თუ თავისუფლებაში მხოლოდ იმას ვიგულისხმებთ, ხელისუფლება გყავს თუ არა მბრძანებლად, მაშინ ეს გაზეთი თავისუფალია.

„შენ რამდენ მილიონ დოლარს აკეთებ წელიწადში?“
(1990 წლის მონაცემები)
სილვესტერ სტალინი — 20, ჯემ ნიკოლსონი — 11, არნოლდ შვარცბერგერი და ელი მერფი — 10, მაიკლ დუგლასი — 9, ტომ კრუზი — 8, მელო გიბსონი და ბრიუს უილისი — 7, ბარბარა სტრეიზანდი — 6, დასტინ ჰოფმანი, მერილ სტრიპი, ჯინი ფონდა და შერი — 5, სიგურნი უივერ — 4. სალი ფილდ, დენის ჰუაიდი, ნიკ ნოლტი და მიშელ უაიფიერი — 3, კიმ ბესინჯერი — 2,5.

ვიდრე „ი“-ს ამბავს განავარაზებოდე, გულისტყვილით უნდა აღვნიშნო, რომ ჩვენი ჩიტი ძალიან დაბეჭდებულია, ანუ უტყუარ ტერმინს

დებამ, ვიდრე ქართულსკენ.

და ერთ დღეს, ეტყობა, აღარ მოეწონათ ქართული დაბოლოება. ერთობა, „ი“-ს დამატებით უცხოელთა გვარებმა უფერადობა დაკარგეს მათთვის.

ერთი სიტყვით, „ი“-მ „გაუტყენა“ მათ.

ჰოდა, აიღეს და მოსირილეს. მაგრამ ტყუილად ეგონათ, რომ ამით ინგლისური უფერადობა შეიძინეს იმ გვარებმა.

ჩვენი ენა და ინგლისური ისე შორი შორს არიან, ისეთი განსხვავებული გვარები გვაქვს, რომ გვარის დაბოლოების მიმგვანებით ინგლისურს ვერ დავემგვანებთ ქართულად დაწერილი ინგლისური გვარი.

ინგლისურს რომ მიამგვანოთ ქართულად დაწერილი „ჯულია რომბერტსი“ თუ „ჯეკ ნიკოლსონი“, ამისთვის საჭიროა საერთოდ ქართული ასოებისა და ბგერების შეცვლა, ანუ ქართულ ენაზე უარს თქმა.

ლის ამის გაკეთება იმისთვის, რომ ქართულ გაზეთში წელიწადი რამდენიმე გვარი ინგლისურად უფერადობა, ვიღებთ, რომ ჩვენი ჩიტი ძალიან დაბეჭდებულია, ანუ უტყუარ ტერმინს

ზოგი რამ პრესის თავისუფლებას უსახებ

მაგრამ ქვეყნის თავისუფლება სხვა რამაა. ხელთა მაქვს ამ გაზეთის მეცხრამეტე-მეოცი ნომერი. გადავშალეთ მესამე გვერდი. აქ დაბეჭდილია წერილი, რომელსაც ასეთი სათაური აქვს: „ჯულია რომბერტსი — მკითხველის თხოვნით“.

ამჟერად სწორედ სათაურში და მინტერესია.

მაგრამ თქვენ კი არ მოგხვდათ თვალში?

განა თქვენ კი არ გეუცნაურათ? რას ნიშნავს „ჯულია რომბერტსი“ — მკითხველის თხოვნით?

თუ მოვიშველებთ, დეგრადაცია გახდება.

საილადავ, ნახეთ, რა ამბები მოაქვს:

იმას გვახარებებს, თუ ვინ რამდენი მილიონი იშვავს.

როდის იყო ქართველი კაცი ან ქართველი ჩიტი სხვის ჯიბეში იყრიდებოდა და იქ მანეთს თუ დოლარს ითვლიდა?

ვაი, შენ ჩვენი პატარა ჩიტო, ხალხისა და ლეკისთვის გაჩენილი, ახლა ვილაციის ნებას არნოლდ შვარცბერგერისთვის რომ აუღვინებინარ პრიმიტიულ კორიკანა მოახგარებო!

ერთი სიტყვით, ამ ჩვენს ჩიტს თავისუფალი ქართული ცნობიერება არა აქვს. მისი ცნობიერება დამოკიდებულია მხოლოდ იმაზე, ვინ ვინც გაგრეცხვებულ ვაჭურაქხულ განწყობილებას.

რა შეეხება „ი“-ს, ახლა ყველასთვის ნათელია, არც ასოთაშფოთი და არც კერძოდ რომელიმე ავტორი თუ მთარგმნელი აქ არაფერ უნდა.

მე გგონია, არ ღირს. ამიტომ, მიიღი ნუ შეეცვლით ქართული ენის კანონებს.

და ვითოდ, სახელი იქნება თუ გვარი, სხვა ენაში გადასვლისას, ემორჩილება ამ ენის წესებს.

ასე მაგალითად, ინგლისელები სულაც არ ცდილობენ ჩვენი „ჯ. კ. უ.“ ბგერების გამოთქმას და დაწერას.

ამიტომ, თვით ილია ჭავჭავაძის, ავაკი წერეთლის და ალექსანდრე ყაზბეგის გვარებსაც კი, ინგლისელები არ გამოთქამენ ქართულს მიმგვანებულად.

ამიტომ, ისინიც გვაპატიებენ, თუ ქალბატონი ქულია რომბერტსი გვარი ცოტა „დაუმახინდება“ ამ გვარის ქართულად დაწერისას.

(რა შეეხება თვით ქულიას, როგორც აღინიშნული წერილიდან ჩანს, ეს ქალბატონი ისეა გართული თავისი სასიყვარულო ფათურაქებით, ნამდვილად ვერ მოიცილს იმისთვის, რომ დაინტერესდეს, თუ როგორ უწეროთ ქართველები მის გვარს, მით უმეტეს, დარღვთ თავს არ შეაპყვიებენ „ი“ რატომ დაუმატეთ).

ალბათ, აქ ის იგულისხმება, რომ მკითხველის თხოვნით წერილში მოთხრობილია ამბები ამ მსახიობ ქალზე.

მაგრამ თუ მართლაც ასეა, მაშინ სათაურს ერთი ასო აკლია.

კერძოდ, უნდა იყოს „ჯულია რომბერტსი — მკითხველის თხოვნით“. ეს „ი“ არის სახელობითი ბრუნვის ნიშანი და აუცილებლად ემატება უცხოური წარმოშობის გვარს, თუკი ის თანხმობავს მთავრდება.

ასე მაგალითად, გერმანულად არის „ოთმას მან“, ქართველები კი ვწერთ და ვამბობთ თომას მანი, რუსები წერენ „გორბაჩევი“-ს, კითხულობენ „გარბაჩოვი“-ს. ჩვენ კი ვწერთ და ვამბობთ „გორბაჩოვი“.

ამგვარად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ „ნატურისთვალში“ დაბეჭდილი წერილის სათაურში ელემენტარული გრამატიკული შეცდომა მოსვლიათ.

„იქნებ აწყობისას გამოჩნათ ეს ერთი ასო, რატომ იქ ასე, რას გადაეკიდებოდა ხომღოე პატრიოსან ხალხს!“ — მისაყვედურებს ვინმე.

ჰო, მაგრამ წერილის ტექსტშიც რომ ასეა?

„დღეს კი ქულია რომბერტსი პოლიველის ახალი ვარსკვლავია...“ — ასე იწყება პირველი სვეტის მესამე აბზაცი.

ხოლო მეოთხე აბზაცის ბოლოში წერია: „...ამბობს ჯოხე რუბენ...“

ასევე მეორე სვეტის პირველივე აბზაცში:

„...ხოლო ჯოხე რუბენ კი უყოყმანოდ აცხადებს...“

არ მინტერესებს თუ რას აცხადებს უყოყმანოდ პატივცემული უცხოელი, მე მხოლოდ ეს მინდა მის განვუცხადო, რომ ქართულად დაწერილს და წარმოთქმისას, მის გვარს უყოყმანოდ უნდა დაეუმატო „ი“ და ეს ნუ ეწყინება.

ახლა უკვე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ წერილის სათაურში „ი“ ასოთაშფოთებს არ გამოჩნებიათ. მაშ ვის მოსდის გრამატიკული შეცდომა?

წერილი ახალბერძნულიდან უთარგმნია ზაზა ხინთიბიძეს. ესე იგი მისი შეცდომაა?

მეც ასე მეგონა, მაგრამ იმავე გვერდზე, ჩიტის მოტანილი ამბების „რუბრიკით დაბეჭდილია აი, ასეთი რამ:

ქალიან გამიკვირდება, თუ „ნატურისთვალში“ დამიჭერებს და მომდევნო ნომერში ისე დაწერს ინგლისურ გვარებს, როგორც ამის მოთხოვნს ჩვენი ენის კანონები.

უფრო ისაა მოსალოდნელი, რომ ახლა ამ გაზეთშიც დაიწყოს ჩემი სახელისა და გვარის გაბურთავ-გამბურთავება, ჩემი სიტყვების გატრიალება და ჩემი პიროვნების ლანძღვა-გინება.

მაგრამ რადღაც ბუნებით ოპტიმისტი ვარ, მაინც მაქვს იმედი, რომ მეტყვევებს: კი, ბატონო, ჯანი გავარდეს, „რომბერტსი“ კი არა, „რომბერტსი“ აყოს ეს ქულია, ხოლო ჩემი „ნიკოლსონი“ კი არა, „ნიკოლსონი“-ო.

მინაწერი:

ქალიან გამიკვირდება, თუ „ნატურისთვალში“ დამიჭერებს და მომდევნო ნომერში ისე დაწერს ინგლისურ გვარებს, როგორც ამის მოთხოვნს ჩვენი ენის კანონები.

უფრო ისაა მოსალოდნელი, რომ ახლა ამ გაზეთშიც დაიწყოს ჩემი სახელისა და გვარის გაბურთავ-გამბურთავება, ჩემი სიტყვების გატრიალება და ჩემი პიროვნების ლანძღვა-გინება.

მაგრამ რადღაც ბუნებით ოპტიმისტი ვარ, მაინც მაქვს იმედი, რომ მეტყვევებს: კი, ბატონო, ჯანი გავარდეს, „რომბერტსი“ კი არა, „რომბერტსი“ აყოს ეს ქულია, ხოლო ჩემი „ნიკოლსონი“ კი არა, „ნიკოლსონი“-ო.

მინაწერის მინაწერი:

ამ ჩემის გვარი ქართულად იმდრომდე მინდა „ნიკოლსონი“ იყოს, რომ „ნიკოლსონი“ შემონახული მქონდეს.

ეს მსახიობი, მეგობრებო, ძალიან მიყვარს იმის გამო, რომ ბრწყინვალედ თამაშობს ფორმანის ფილმში, რომელსაც ჰქვია „ვილადამ გუგული“ ბუღელს გადაფურინა. ემ დიდებულ ფილმს ჩემთვის თავისუფლების „ინემატოგრაფიული ჰიშინი და ვარკვი.“

ჰოდა, როდესმე თუ გავიცანი ჩემი ეტყვი, ქართულად მე პეტრია-შვილი ვარ, შენ ნიკოლსონი და ნუ გეწყინება თუ მთლად ინგლისურად ვერ ვამბობ შენს გვარს. შენ იყავი კარგად, თორემ ეს არაფერია. ახლა კი, წამოდი მშობი ჩემი, შორებელო მშობი ნიკოლსონი, ქვეყნის თავისუფლების სადღეგრძელო და ვლოთა-შეთი.

დასკვნა: პრესა რომ თავისუფალი იყოს, ამისთვის აუცილებელია მას ჰქონდეს უფლება, თქვას რაც უნდა, მაგრამ ეს საქმარისი არაა.

ქვეყნის თავისუფალი პრესა მათხანაა, როცა პრესის მუშაკთა ცნობიერება თავისუფალი, ანუ არავის დამონებული.

განაპირობებული

ებლობა უნდა იყოს. პირველი რიგში ყველა ძალიან სწორედ მის მისაღწევად უნდა გაერთიანდეს. ლოზუნგი — „ჩემი დემოკრატია მერვე დამოუკიდებლობა“ — ზუსტად ისეთივე პოლიტიკური უცხოელობაა, როგორც იყო — „ჩემი სოციალური თავისუფლება, მერე კი ეროვნული თვითგამორკვევა“.

ჩვენ მეორედ ვდგავართ ერთიად-იგივე არჩევანის წინაშე.

ამ არჩევანის გაკეთება დღეს არც თუ ისე ძნელია. როგორც პიროვნული თუ სუბიექტური წინააღმდეგობაც არ უნდა იყოს ჩვენს შორის, არც ებნობის რაღაცა, რაც შესაძლებელს გახდის მიუკერძოებელი ოპოზიციის გამოქმენის პრაქტიკას.

ორი დღის წინ, ვერემის საშუალებით მოვისმინეთ, ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მთიან ყარაბაღში ტარდება რეფერენდუმი, რომლის დროს მოსახლეობამ უნდა განაცხადოს, უნდა თუ არა დამოუკიდებლობა. ყველაფერი ჩანს, რომ ეს რეფერენდუმი მთიანი ყარაბაღის სომხური მოსახლეობის ინტერესების სასიკეთოდ გადაწყდება (ამას რა მოპყვება აზერბაიჯანელთა მხრიდან, ეს ცალკე საუბრის თემაა). რატომ? იმიტომ, რომ ცენტრი, საბჭოთა კავშირი, სლავური კავშირი, ან რუსეთის ფედერაცია (ჯერ არ არის გარკვეული საბოლოოდ რა დერექცია რუსეთის ამჟამინდელ იმპერიას), თავისი, ფუძე ინტერესების (იმპერიის ძველ ფარგლებში შენარჩუნება) გამომდინარე, მხარს იმ რესპუბლიკას დაუჭერს, რომელიც მის ტერიტორიულ მთლიანობას არ ხელყოფს.

სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტის განვითარების მაგალითზე ადვილი მისახვედრია, რომ აქ განმარტობებელი არც ეროვნული სიმბაბითა, არც სამართლიანობა, არც რელიგიური მოტივი, არც ისტორიული საფუძველი არასოდეს ყოფილა. მხოლოდ ერთი რამ წყვეტდა მოვლენათა მიმდინარეობას — ცენტრის ინტერესი. თუ აზერბაიჯანი გამოხატავდა იმპერიის მთლიანობის იდეას, ანუ არ უპირისპირდებოდა მის ფუძე ინტერესს — შეუფერხებლად აუღებინებდნენ სომხებს; თუ სომხები ერთგულდებნენ იმპერიის პრინციპს, რუსეთი მათ ბრძოლას უჭერდა მხარს... ამჟამად სომხეთის ინტერესი მკიდრულად თანხდება იმპერიულ ინტერესს, ამიტომაც გადაწყდება მათ სასიკეთოდ რეფერენდუმის საკითხი და ამის საფუძველზე რუსეთიც სომხთა ავტონომიის დაუჭერს მხარს.

თუ რაღაც მიზეზთა გამო, ვერ ვახერხებთ სწორ ანალიზს, თვალს გვაჭრის ზოგიერთი სიტყვათა ელვა-რება (დემოკრატია, ჰუმანიზმი, პიროვნული, დასავლური ცივილიზაცია, ინტერაცია და სხვ.) ან გავარაძებნა პიროვნული სიძულვილი ამჟამინდელი პრეზიდენტის მიმართ, იმპერიულ საინფორმაციო იდეოლოგიას მაინც დაეკვირდეთ, საქართველოში დღეს არსებული კონფორმაციის გამოქმენისას, რომელი მხარის ინტერესების გამოხატველად გვევლინება რუსული პრესა და ტელევიზია. ხომ ვერ უარყოფთ, რომ რუსეთისა და ჩვენს შორის პირველყოფილი ერთი რომელიმე მხარის ინტერესი აუცილებლად უნდა ეწინააღმდეგებოდეს ერთმანეთს, რადგანაც იმპერიისა და საქართველოს ფუძე ინტერესები ურთიერთის გამოძირილებელია. რუსეთი დღეს ებრძვის იმას, ვინც საქართველოს ფუძე ინტერესს გამოხატავს, მხარს უჭერს იმას, ვინც საქართველოს (ანუ საქართველოს საწინააღმდეგო) ინტერესს ემსახურება. ჩვენი, ანუ ქართველი ერის სასიცოცხლო ინტერესი არის იმის საწინააღმდეგო, რის ავტორიტეტსაც ცენტრი გვიწევს. გავახილოთ თვალს — დემოკრატის სიყვარულით ყოველდღე გამოყავთ ქართველი ოპოზიციონერები რუსული ტელევიზიით. გგონიათ, მართლა აწუხებთ რუს მოღვაწეებს, რომ საქართველოში დემოკრატია ფერადდება? არა, ბატონო, ქართველი ოპოზიციონერთა მეშვეობით, რუსეთი თავის ინტერესს ამტოვებებს, ამიტომაც უწყის მათ ავტორიტეს.

იმდენს თუ ვერ მიხვდარა ქართველი კაცი 200 წლის მანძილზე, რომ მას და რუსეთს საერთო ფუძე ინტერესი არ გააჩნია და დღესაც სჯერა, რომ რუსული ტელევიზია საქართველოს კეთილდღეობას ემსახურება (და არა რუსეთის იმპერიულ მთლიანობას), მონობის თუ არა, უარესის ღირსი ვართ, და თუ ისევე „უქულობა წავივიდა“ ბედი, ფეხზე წამოვდებოდნენ ნულოვანი ვექლებით, რამეთუ ერი, რომელიც რამდენჯერმე უშვებს ერთიად-იგივე შეცდომას, საერთოდ არ არის თავისუფლების ღირსი.

ჩვენი კორესპონდენტი მანა ხაშვილი ენაუბრა მედიკოსს, სამედიცინო ინსტიტუტის ალმაგოლოგიის კათედრის თანამშრომელს, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, სამედიცინო ფაქულტეტის დეკანის მოადგილეს ზ. ნ. ბია ხაჩინაშვილს.

ჩვენს გვერდსა მშვენიერი, აყვავებული ქვეყანა

— ზ. ნ. ბია, როგორია თქვენი დამოკიდებულება საქართველოში მიმდინარე მწვავე და აქტუალური პროცესებისადმი, როგორ ახასიათებთ ინტელიგენციის დღევანდელ პოლიტიკურ მოღვაწეობას?

— თავიდანვე აღვნიშნავ, რომ მე პოლიტიკის, პოლიტოლოგიის თუ სოციოლოგიის ცოდნის არაკვალიფიციან პრეტენზია არა მაქვს, არა როგორ შეიძლება მქონდეს. მე ხომ მედიკოსი ვარ? მე ვამოთქვამ ჩემს პოზიციას, როგორც საქართველოს მოქალაქე, რიგითი ამომრჩეველი ან, თუ გნებავთ, ინტელიგენციის წარმომადგენელი, თუმცა, ეს ტერმინი აბსოლუტურად მიუღებელია ჩემთვის.

ყველაზე ცნობილია ლათინური წარმოშობის სიტყვის — „ინტელიგენცია“ მნიშვნელობა. ეს ნიშნავს მცოდნეს, მათარსებს, სოციალური ფენა — ინტელიგენცია, წმინდა რუსული ფენაა. იგი განიხილეს რუსეთის იმპერიაში XIX საუკუნის 60-იან წლებში. ამ აბსოლუტურად ხელნაწერად შექმნილი საზოგადოების სოციალური ფენის განსაზღვრების ავტორი, XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე მოღვაწე რუსი მწერალი პეტრე ბობორკინი იყო. ისიც ცნობილია, თუ რისთვის იყენებდა რუსეთის იმპერია პოლიტიკური პროცესების მართვის ამ საკმაოდ ეფექტურ ბერკეტს თავისი ტრანსფორმაციისა და სახელმწიფოს სხვადასხვა ეტაპებზე, სამწუხაროა, რომ პოლიტიკური პროცესების მართვის ეს საშუალება, რომლის დისტანციური პულტი იმპერიის ცენტრშია, საქართველოშიც მოქმედებს და ასრულებს ე. წ. მე-5 კოლონის ფუნქციას. რამდენადაც ვიცი, ჩვენში გავრცელებული მნიშვნელობით, ინტელიგენციის ფენო-ენი არც ერთ ცივილიზებულ ქვეყანაში არ არსებობს.

ხელისუფლებისადმი დაპირისპირებული მხარე, მხედველობაში მაქვს საპარლამენტო ოპოზიცია, ქუჩის ოპოზიცია და ინტელიგენციის ოპოზიციური განწყობილი ნაწილი, საქართველოსა და საკავშირო მასობრივი ინფორმაციის საშუალებებსა თუ მიტინგებზე, ხშირად აღინიშნავს, რომ ეროვნული ძალების ხელისუფლებაში მოვალისათვის დაკავშირებით, საზოგადოება გაიხილა და ამის საილუსტრაციოდ ძირითადი მოპყავთ ინტელიგენციის გაყოფა, მისი „საუკეთესო“ ნაწილის ოპოზიციის მხარეზე გადასვლა. ხელნაწერად შექმნილი ზღვარი „ელიტარული“ და „არაელიტარული“ ინტელიგენციის შორის, ფარული ფორმის სახით, ყოველთვის არსებობდა და შეადგენდა იმპერიული პოლიტიკის ერთ-ერთ ნაწილს. ჩემის აზრით, ეს ე. წ. „ელიტარული“ ინტელიგენციის, სწავლულთა და ხელგანათა ის ნაწილია, რომელიც, უფრო ნებით, ვიდრე უნებლიეთ, აღიანსში იმყოფებოდა კომუნისტურ ხელისუფლებასა და მთავრობასთან, ხელს უწყობდა მათ პოლიტიკური კურსის გატარებაში, რის გამოც პრივილეგირებული მდგომარეობა ეკავა საზოგადოებაში. ელიტარული ინტელიგენცია ერთგვაროვანი არ არის, იგი წარმოდგენი-

ლია როგორც მსოფლიო მნიშვნელობის მეცნიერებით და ხელოვნების მოღვაწეებით, ასევე ხელოვნურად შექმნილი უნიკო მწერლებით, პოეტებით, მსახიობებით, ექიმებით, სურთომოდგომებით და სხვ. თავისი პრივილეგირებული მდგომარეობის გამო, „ელიტარული“ ინტელიგენცია ხშირად ჩანდა პრესის ფურცლებზე, ტელევიზორებზე, მათი ხმა გავსობდა რადიოში, ჰქონდათ კარგი რეკლამა, საზოგადოება მათ კარგად იცნობს. ე. წ. „ელიტარული“ ინტელიგენციის უმრავლესობის (როგორც შეიძლება ბობორკინის შთამომავალი ვუწოდოთ) დამახასიათებელი ნიშნებია ხელისუფლებისადმი ლიბალიზმა, კომფორტში და სწავლებით დეფიციტი. ერთი მხრივ, ხელისუფლებაში ერთვული ძალების მოსვლა, მეორეს მხრივ კი, იმპერიის კანონზომიერება რღვევამ „ელიტარული“ ინტელიგენციის პრივილეგიები მოკლებს მათ კარგად იცნობს. ე. წ. „ელიტარული“ ინტელიგენციის უმრავლესობის (როგორც შეიძლება ბობორკინის შთამომავალი ვუწოდოთ) დამახასიათებელი ნიშნებია ხელისუფლებისადმი ლიბალიზმა, კომფორტში და სწავლებით დეფიციტი. ერთი მხრივ, ხელისუფლებაში ერთვული ძალების მოსვლა, მეორეს მხრივ კი, იმპერიის კანონზომიერება რღვევამ „ელიტარული“ ინტელიგენციის პრივილეგიები მოკლებს მათ კარგად იცნობს. ე. წ. „ელიტარული“ ინტელიგენციის უმრავლესობის (როგორც შეიძლება ბობორკინის შთამომავალი ვუწოდოთ) დამახასიათებელი ნიშნებია ხელისუფლებისადმი ლიბალიზმა, კომფორტში და სწავლებით დეფიციტი.

სამწუხაროდ, ორსაუკუნოვანმა იმპერიულმა პოლიტიკამ და ბოლშევიკურმა რეჟიმმა ინტელიგენციაში აზროვნების სპეციფიკური სტრუქტურა დაამყარა. ეს სტრუქტურა ჩამოყალიბდა არა მარტო საქართველოში და საქართველოს სხვა რესპუბლიკებში, არამედ სოციალისტურ ბანაკის ნებისმიერ ქვეყანაში. მაგალითად, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკაში, ორი წლის წინ მიმდინარეობდა გაფართოებული ბრძოლა გერმანიის გაერთიანებისთვის. 1989 წლის ნოემბერში მთელი ხალხი გამოვიდა ქუჩებში, სერიოზული იერიში იქნა მიტანილი ბერლინის კედელზე, სწორედ ამ პერიოდში, საბუღალტრო მქონდა ერთ-ერთი ცნობილი მედიკოსთან, მსოფლიო მნიშვნელობის მეცნიერთან იმის შესახებ, თუ როგორ უყურებს ის გერმანიის გაერთიანების საკითხს. მან განაცხადა, რომ ეს მეტად ნაადრევია, თუმცა ვერაფრით დამისაბუთა, თუ რატომ. ეს ადამიანი ადაპტირებული იყო იმ სისტემასთან და ჩამოყალიბებული ჰქონდა აზროვნების სტრუქტურა. ასე რომ, ეს სტრუქტურა არსებობდა ყველაგან, სადაც ბოლშევიზმისა და ტრელობიტარის სტრუქტურები ფუნქციონირებდა.

„ელიტარული“ ინტელიგენციას, თავისი რაოდენობით, არათუ ჩამორჩება, არამედ აღემატება კიდევ არაპრივილეგირებულ ინტელიგენცია. სამწუხაროდ, 70-წლიანი ბოლშევიკური ბატონობის გამო, იგი დასწავლდა ერთი მეტად საშიში სენით — ფობიის, ანუ შიშის სინდრომით. საზოგადოებაში მკვე-

თრად მოვიდა ფენი აზრმა, რომ ხელისუფლების მხარდამკვირს ამოძრავებს მერკანტილური ინტერესები. კომპარტი ინტელიგენციები პოლიტიკურ ცხოვრებაში მეტად მძიმედ ებმებიან. მხოლოდ ქვეყნისთვის უარესად რთულ პერიოდში ხდება ხოლმე მათი ჩაბმა პოლიტიკურ პროცესებში. ვფიქრობ, ეს პერიოდი უკვე დაგა. ასე რომ, არაელიტარული ინტელიგენცია მხარს უჭერს საქართველოს სახელმწიფოებრიობის სრულ აღდგენას. ხოლო ელიტარული ინტელიგენცია პრობოლშევიკური ორიენტაციისა და მისი ყველა მოქმედება მიმართულია საქართველოს განთავისუფლების საწინააღმდეგოდ. მე მაინც ოპტიმისტი ვარ და ვიმედოვნებ, რომ ელიტარული ინტელიგენციის წარმომადგენელთა უმრავლესობაში სულ მალე გაიღვივებს მიზნობრივ ქართულ გუნდს, ისინი დადგებიან ეროვნული ხელისუფლების გვერდით და აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ არა მარტო საქართველოს სრული განთავისუფლებისთვის ბრძოლაში, არამედ ყველაფერს იღონებენ იმისთვის, რომ საქართველომ დაიკვიდროს ის ადგილი მსოფლიო სახელმწიფოთა შორის, რომელიც ეკუთვნის და იქ უთვობდა სამართლიანად.

— ზ. ნ. ბია, როგორ ფიქრობთ, რისი ბრალია დასაშუალებლობის წინა საქართველოში და როგორ შეიძლება მივლინოთ ამას ბოლო? დღეს კრიზისულდება სიტუაცია საქართველოში უმაღლეს წიგნის მიღწეა. მისი დამახასიათებელია პოლიტიკური ტერორიზმი, რომელიც პოლიტიკური ექსტრემიზმის და ბანდიტისმიერ ერთგვარ სინთეზს წარმოადგენს. საქართველოს მთელი მოსახლეობა ტერორიზმშია. სამწუხაროა, რომ პოლიტიკური ტერორის ინსტიტუტობად და ხელშეწყობით გარკვეულწილად ინტელიგენციის ზოგიერთი წარმომადგენელი და საპარლამენტო ოპოზიცია მოგვევლინა. პოლიტიკური ტერორიზმის ძირითადი მიზანია სახელმწიფო გადატრიალების მოწყობა და საზოგადოებამ უნდა გააღიზიანოს ეს. ვფიქრობ, მთელმა საზოგადოებამ აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს პოლიტიკური ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

— როგორია თქვენი დამოკიდებულება სამოქალაქო ხელშეწყობის მიმართ? რა დავალებს დააკისრებს დამოუკიდებლობის მიღწევას შემდეგ საქართველო მსოფლიო პოლიტიკურ სტრუქტურებში?

— მე დეტალურად გავეცანი სამოქალაქო ხელშეწყობას, რომელიც გამოქვეყნებული იყო პრესაში და არაპრივილეგიონალის გავლით და ვინააბე ის მრავალი ზღვარზე, რომელიც ჩვენთვის მისაღებია. ეს არის არა ეკონომიკური ხელშეწყობა, არამედ წმინდა პოლიტიკური ხასიათის კვებითი და ექსპლუატრება იმპერიის შენარჩუნებას. ჩემი დამოკიდებულება მისადმი, რა თქმა უნდა, ცალსახაა — არაკვალიფიციან მოქალაქე ხელშეწყობა. რამე ხელშეწყობებზე ლაპარაკი, თანამშრომლობის პირობების დაკვირვებით, შესაძლებლად მიმაჩნია მხოლოდ მას შემდეგ, რაც რუსეთი, საბჭოეთი, რესპუბლიკები და მსოფლიოს მოწინავე ქვეყნები აღიარებენ საქართველოს დამოუკიდებლობას.

დაპირისპირებული მხარე ხშირად ქადაგებს, რომ დავილებით, ამოვწყდებით შიმშილით, მაგრამ გასათვალისწინებელია ის, რომ ჩვენი ეკონომიკური მდგომარეობა გერმანიის მხარეს უკეთესია, ვიდრე სხვა რესპუბლიკებისა. ისიც ფაქტია, რომ ხელისუფლება ყოველთვის ხმარობს იმისათვის, რომ ჩვენი ეკონომიკური მდგომარეობა არ გაუარესდეს.

პოლიტიკური პროცესები მსოფლიოში ელვის სისწრაფით იცვლება, ექვი არ შეეძლება, რომ სულ მალე მთელი მსოფლიო სცნობს საქართველოს დამოუკიდებლობას. ხოლო ის, თუ არ აღვივს დაიკავებს საქართველო მსოფლიო პოლიტიკურ სტრუქტურებში, ქართველ ერზე და მოსახლეობაზე ეს ადგილი საქართველოს მთელმა ქართველმა ერმა უნდა განუსაზღვროს. მე ვეთანხმები იმ პოლიტიკოსებს, რომლებიც თვლიან, რომ საქართველოს ნეიტრალური სახელმწიფოს ფორმა არსებობდა არაერთხელ, მისი გეოპოლიტიკური მდგომარეობის გამო. ამავე დროს „პროაღმოსავლური“, „პრორუსული“ პოლიტიკა ჩვენთვის მიუღებელია. პირადად ჩემთვის, ყველაზე მეტად მისაღებია სრულიად ახალი გეოპოლიტიკური ძალის აღმოცენება კავკასიის სახით და ამ სტრუქტურებში ვხედავ საქართველოს მომავალს.

— რას იტყვით ოპოზიციონერთა მიერ ხელისუფლებისადმი პრეზიდენტის მიმართ წყენებული ბრალდებების შესახებ?

— ხელისუფლების სათავეში მოსვლიდან 365 დღის შემდეგ, ყოველ-და შეუძლებელია შეაფასოს პარლამენტის მოღვაწეობა და მით უმეტეს ბრალდებები წაუყენოს მას. მე ხმა მივეცი ბლოკს — „მრავალმაგიდას“ და ხუთი წლის ვადით ავირჩიე პრეზიდენტი. გავეცანი ბლოკისა და პრეზიდენტის საარჩევნო პროგრამას, მე მას სავსებით ვეთანხმები და გრძობობთ ვხედავ, რომ არ არის სხვაობა პრეზიდენტის მოღვაწეობასა და მის პროგრამას შორის. ოპოზიცია ხშირად უყენებს პრეზიდენტს შეცდომების შესახებ. ფაქტი ის არის, რომ სახელმწიფო შეცდომა პრეზიდენტს არ დაუშვია. პირიქით, ბევრი სასიკეთო რამ გაეთქვა, ოპოზიციის, კრიტიკის დროს, რატომღაც არ ახსენდება, რომ ამ ერთ წელიწადში ბოლშევიკური სტრუქტურების სრული დემონტაჟი მოხდა, რომ აშენდა მისივე დანაშაულებული მთელი დასავლეთ საქართველო და სხვა მრავალი.

რაც შეეხება საპარლამენტო ოპოზიციის კრიტიკას, რომ თითქოს არც პარლამენტმა და არც პრეზიდენტმა ჩერებინა არ შეაფასა რუსეთის პუტჩი, არ დაუჭირა მხარი ე. წ. „დემოკრატებს“, მე მგონი, ამაზე ლაპარაკი არც ღირს, ვინაიდან მთელმა მსოფლიომ კარგად დაინახა, თუ როგორი ხასიათი ჰქონდა ამ სექტორს.

— რას იტყვით ოპოზიციის ლოზუნგზე, ჯერ დემოკრატია მერე თავისუფლება, თავისთავად აბსურდულია, ყველა-სათვის გასაგებია უნდა იყოს, რომ თავისუფლების მიღწევა არის ერთ-ერთი და აქტი. ხოლო დემოკრატია — პროცესია.

— რას იტყვით ჩანართლო-ბის დაცვის სისტემაში არსებული პრობლემების შესახებ?

ჩვენი დამოკიდებულება მისადმი, რა თქმა უნდა, ცალსახაა — არაკვალიფიციან მოქალაქე ხელშეწყობა. რამე ხელშეწყობებზე ლაპარაკი, თანამშრომლობის პირობების დაკვირვებით, შესაძლებლად მიმაჩნია მხოლოდ მას შემდეგ, რაც რუსეთი, საბჭოეთი, რესპუბლიკები და მსოფლიოს მოწინავე ქვეყნები აღიარებენ საქართველოს დამოუკიდებლობას.

— ჩანადციის სისტემაში და მედიცინაში არსებულ პრობლემებს რა მოთვლის, ჩვენი ჩანადციის სისტემა აბსოლუტურად გაპარტანებულია. მისი დონის ამაღლება, საერთაშორისო სტანდარტებზე აყვანა დამოკიდებულია პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმების ეფექტურობაზე. ჩემის აზრით, გვემა-ზომიერად უნდა გადმოვიტანოთ ჩანადციის ორგანიზაციის ის აპრობირებული მოდელები, რომლებიც მოქმედებენ ქვეყნებში წარმატებით ფუნქციონირებენ. ამასთან, უნდა გავითვალისწინოთ ჩვენთან არსებული ჩანადციის სისტემის თავისებურებანი. უნდა რადიკალური შეიცვალოს მოსახლეობის ამბულატორიული მეურნეობის ფორმა, გასატარებელია საკადრო პოლიტიკა. უნდა ამაღლდეს ჩანადციის სისტემაში მომუშავე ექიმთა პროფესიული დონე. ექიმთა დახვეწების საშუალოდ მოდელი აბსოლუტურად უსუსური აღმოჩნდა. აქტუალურია ახალი კადრების მოზადება საკითხი. საქართველოს სწავლების პროცესის ტრადიციური რეორგანიზაცია.

აუცილებელია რეორგანიზაცია ჩვენი მეცნიერებთან საქმიანი კონტაქტების დაპყრობა; ჩვენი სპეციალისტების მიერ ჩვენთვის სწავლება არაქტიული შედეგის მომცემი უნდა იყოს. ძალიან ვვიკრიბს ვალუტა, დაუშვებელია მისი უმიზნოდ ხარჯვა.

მედიცინაში პრივილეგია უნდა დამკვიდრდეს, მაგრამ ესეც მეტად რთული პროცესია. იგი უნდა იყოს გვერდობით, არ უნდა მიხდეს ისე, რომ კერძო ამბულატორიები და საავადმყოფოები დაკომპლექტნენ აკაიკომპეტენტური კადრებით. მინდა აღვნიშნო, რომ საქართველო არის კურორტების ქვეყანა. თუ ჩვენი კურორტები განდგება მსოფლიო სტანდარტების დონის, აქ აღვივალ შეიძლება მოიკიდოს ფენი კურორტულმა მეურნეობამ მინერალური წყლებით, ტალახებით და სხვ. ამას კომერციის თვალსაზრისითაც შეიძლება უარესად დადგინდეს მნიშვნელობა ჰქონდეს ასლო მომავალში.

სამედიცინო სფეროში მომუშავე ახალგაზრდა სპეციალისტები ძალიან ვადაცულები არიან იმ სერტიფიკატის აღებით, რომელიც მათ შესაძლებლობას მისცემს იმუშაონ დასავლეთის ნებისმიერ კლინიკაში. უნდა შევადგინო სისტემისა, თითქმის ვერავინ შეძლო ამ გამოცდის ჩაბარება. ეს გასაგებია იმიტომ, რომ მედიცინის სწავლება არის პროცესი, ეს რამდენიმე წელს უნდა მიმდინარეობდეს იმ აპრობირებული მეთოდებით, რომლებიც ცივილიზებულ ქვეყნებში არის მიღებული. უნდა ვიბრძოლოთ არა ლიცენზიის ამაღლებებისთვის, არამედ იმისთვის, რომ ინსტიტუტში სასწავლო პროგრამა ისე გარდაიქმნას, შეესაბამებოდეს საერთაშორისო სტანდარტებს. ამის შედეგად მივიღებთ მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებს და ქართველი მედიცინის პრესტიჟიც ამაღლდება.

ვფიქრობ, სსიკეთო ცვლილებები ყოველ დარგში ძალიან მალე მოსალოდნელია. სულ მალე ჩვენც ჩვენებით მსოფლიოს განვითარებულ სახელმწიფოთა შორის. გვექნება მშვენიერი, აყვავებული ქვეყანა. აი, ასე ვხედავ საქართველოს მომავალს.

შეურიგებული ოპოზიცია

შეპარდნაქე ქართულ

„დისიდენტთა“ ლიდარი

უპი
ოპოზიციონერი მოღვაწეები სულ უფრო და უფრო იხიბებიან აზრანსებ, რომ საქართველოს მხოლოდ შევარდნაზე თუ გადაარჩენს. სალონურ საუბრებში, ინტელიგენტურ შეკრებებზე, ინტერვიუებში, გამოცვლებში უკვე ამტკიცებ, დაუფარავად მსჯელობენ ბატონი ელვარდის „მეისინისტრ“ როლზე მცირე სამშობლოს უანსლეს ისტორიაში. თვით ისეთმა სერიოზულმა პოლი-

ტიკოსმა მთლიანად დააკარგინა პოლიტიკური ზეგავლენა მსოფლიოზე. სწორედ ბატონი ელვარდის მინისტრობის დროს დაკარგა საბჭოეთი კავშირმა აღმოსავლეთ ევროპა, ავღანეთი, კუბა, ბალტიისპირეთი. დიდი პოლიტიკური ნიჭით და ალღოთი დაჯილდოებულმა დიპლომატმა ისიც კი ვერ მოახერხა, დასავლეთისაკენ იმდენი ფული მიიღო, რამდენიც საბჭოეთის მხრიდან დაელოდა. მისი პოლიტიკური მდგომარეობა და ამით იმპერიის (ანუ ზრუნვის ობიექტის) ნგრევა გადგევადებია. გვერდითა კი პოლიტიკოსი, რომლის ძირითადი მონაპოვარი საერთაშორისო ასპარეზზე დანაკარგების გრძელ ნუსხას შეადგენს?

შტრიხები პოლიტიკური

პორტრეტისათვის

უპი
9 დეკემბერს შეიკრებიან სასახლე-სახლში გაფიცული სტუდენტები მოზარდნი და დემოკრატიული ლოზუნგებით და „ძირს დიქტატურის“ ძახლით. იქ შეკრებილი მოქალაქეთა და შემაჯავებელი გამგელობა უკმაყოფილო რეპლიკებზე სტუდენტებმა სრულიად არაადემოკრატიულად, მითუ-მეტეს, არაინტელიგენტურად ირეაგირეს. რედაქციის თანამშრომელთა თვალში, სამის ახალგაზრდად უშვები სიტყვებით ავინა ქალებს. ვინაიდან სამ სხვადასხვა დაჯგუფებაში ერთიდაიგივე სცენას წყავ-



გორგობი II

ჩვენი ერის შვილობილი ბიბლიის ტოლფასი „ქართლის ცხოვრების“ კითხვისას, სხვა მრავალთა შორის, უსათუოდ შეინიშნება ერთი მეტად მნიშვნელოვანი გარემოება. ქართველ მეფეთა წარმომჩინების, მეტაბიანი მათი ღირსების ერთ-ერთ მთავარ ნიშანდ მიიჩნევენ არიან თუ არა „განმკითხველი გლახათა“, ანუ რა დამოკიდებულებას იჩენენ ისინი ღირსი მიმართ, და რაოდენ საამაყოა, რომ, ისტორიულად, ერის წინამძღოლთა უდიდესი უმრავლესობა, სწორედ რომ გულმოდგინებით ყოფილან და ღირსთა თანამდგომლად გვევლინებიან.

ამ მხრივ, მეფე გორგი ერთ-ერთი სამაგალითო პიროვნება ყოფილა. ალბათ, ამიტომაც შემართებულ მისი ცხოვრების აღწერას სწორედ ამ თვისებაზე მინიშნებით იწყებს: „ზოლო გორგი მეფე იყო მოწყალე გლახათა, კაცო... უუხველი ყოველთა მეფეთა აფხაზეთისათა“.

გამორჩეული ცნობის-მშვილდოსანიც ყოფილა გორგი მეფე, „აუტრად უკეთესი ყოველთა კაცთა“. მაგრამ, სამწუხაროდ, ასეთი კაცი საოცრად სუსტი ნებისყოფისა იყო და ამ თვისების გამო, საქართველოს ჭირიც ბევრი უნახავს.

იცოდნენ რა სუსტი ხასიათი, ჭერ კიდევ გამეფების ერთი წლის თავზე გორგი მეორის რამდენიმე დიდგვაროვანი თითქმის ერთდროულად განუდგა. კერძოდ, „ივანე მითრთხა კახნი და დადგა ქსნისა პირსა; და ნიანი წარუღო ქუთათისისა საქურველ და შედგა ქუთათისის შიგა, და ვარდან გააღვიანა; სუანნი ავისა მოხარკული, დაარბიეს და ამოსწყვიდეს საეგრ“.

საბედნიეროდ, გორგი მეფის ერთგული ხალხიც ჰყავდა და აჯანყება აღვივლად ჩააქრო, მაგრამ აჯანყებულნი კი არ დასჯა, თითოეული მათგანი უხვად დააჯილდოვა.

დღევანდებულმა მეფის ეს სიკეთე მისი სისუსტის ნიშნად მიიჩნიეს და როგორც ასეთ შემთხვევაში ხშირად ხდება, ივანე ლიპარიტის ძე „კულად დადგა“. მეფე გორგიმ საპასუხოდ ჭარი შეკრება და სამშვილდისაკენ გასწია, გზად მან მესხნიც შემოიერთა, ხოლო სამშვილდისთან მისი დანახმებულად კახთ მეფე აღსართანდაც მივიდა. ივანე შეშინდა და ცხიდან გაიპარა.

მეფე გორგი და ივანე ბაღვაში მალე ისევ შეერიდნენ, მაგრამ დიდხანს არც ეს გაგრძელებულა. ივანემ ამჟღავნა კიდევ უარესი რამ ჩაიდინა — „გამოსტყუა გავი ცხოვრებათა გორგი მეფისათა და მიჰყიდა ფადლონს, განძის პატრონს“.

ამ დროს საქართველოს თურქ-სელჯუქთა ახალი ტალღა შემოესია სულთან მელიქ-შაჰის მეთაურობით.

სულთანმა დაიპყრო სამშვილდე, დაატყვევა იქ მყოფი ივანე ცოლითა, შევიღვივითა და „ყოველთა აზნაურთა დედაწულითა“. ამის შემდეგ მან „მოარბია ქართლი, წაიღო ტყუე და ნატყუევანი ურიცხვი“. გარდა ამისა, სულთანმა კიდევ მრავალი სხვა ქვეყანა მოარბია და უკან გაბრუნდა, ხოლო ჩვენში დატოვა მოხელე. მალე ამ მოხელემ შეკრიბა ურიცხვი ჯარი და ქართველთა მეფის წინააღმდეგ გამოილაშქრა. ბრძოლა ფარცხისს ქვემოთ გაიმართა. გამარჯვება ქართველთა ლაშქარმა, მხოლოდ და მისი სიბრძნე გადარჩინა მტერი მთლიან გაუტყდა.

გამარჯვებული გორგი მეფე ჯარითურთ ტაოს გადავიდა და ბანაში დაბანადა. აქ მას ესტუმრა ბიზანტიის „ზორგარი აღმოსავლისა“, ანუ აღმოსავლეთის მხედარმთავარი გრიგოლ ბაკურიანის ძე. ეს ის გრიგოლია, რომელმაც ბულგარეთში ცნობილი პეტრიწის მონასტერი დააარსა და იქ ქართულ ფილოსოფიურ-თეოლოგიურ სკოლას ჩაუყარა საფუძველი. სწორედ ამ სკოლამ აღზარდა სახელგანთქმული ქართველი ფილოსოფოსი, იოანე პეტრიწი. გრიგოლ ბაკურიანის ძემ გორგი მეფეს საჩუქრად კარის ციხე-ქალაქი და „მისი მიმდგომი ქუეყანა“ გადასცა.

ამ პერიოდში თურქები ისე გაძლიერდნენ, რომ ბიზანტიაც კი იძულებული გახდა უკან დაეხია და აღმოსავლეთის ქვეყნები მიეტოვებინა. ბუნებრივია, ასეთ სიტუაციაში ეს ქვეყნები „აიხუნეს თურქთა და დაუპყვიდნენ“.

თურქეთის სულთანმა მელიქ-შაჰმა საქართველოში თავისი ამირა აჰმადი გამოგზავნა, რათა ქართველთათვის კარის ციხე-ქალაქი წაერთმია. ამ დროს ქართველთა შორის თავი იჩინა ისევ და ისევ ლალატ, მა — „მოვიდეს ესენი შინა-გამცემთა ქრისტიანთათა, აოტეს გორგი მეფე და სპა მისი ურიცხვი“.

ამირამ ქვეყანა დაარბია, უამრავი ნადავლი იგდო ხელთ და დატვირთული უკან გაბრუნდა. გზად მას თურქთა სხვა ამირები — იასი და ბეგლუში შემოჰყარა ურიცხვი ლაშქრით. ისინი, თურმე, ბიზანტიისაკენ მიეშურებოდნენ ნადავლის საშოვნელად.

აჰმადმა მათი მიზანი რომ გაიგო, მოჰმეთ ურჩია „რად წახვალთ საბერძნეთად? ამა, ქვეყანა — საქართველო, უკაცური და სახვე ესეგითა-რითა სიმდიდრითა“.

თურქმა ამირებმა ლაშქარი მოაბრუნეს და საქართველოს მთა-ბარს შეასიეს. ეს მოხდა 1080 წელს „დღესა ივანობისასა ასისფორნი და კლავ“.

რკვეთი ზღვის პირამდის, შეეშეთი, აჭარა, სამცხე, ქართლი, არგეთი, სამოქალაქო და ქუთაისი და ადიგოს თურქეთი, მისრა და ტყუე აქნა ამით ქვეყანათა მკვიდრი ყოველი და მასვე ერთსა დღესა დაწვეს ქუთათისი და არტახუჯი, და უდაბნონი კლარჯეთისაი“.

მთელი ზაფხული და შემოდგომა დათარეზობდნენ ქართულ მიწაზე ურიცხვი დამპყრბნი, „მოქაშეს ქუეყანა და მოსწყვიდეს თუ სადღო ვი დაარხოილ იყო ტყუე, კლდეთა, ქუაბათა და ხურგელთა ქუეყანისათა და ესე იყო პირველი და დიდი თურქობა“.

ამის შემდეგ, ყოველ გაზაფხულს, თურქები საქართველოს შეესიოდნენ ხოლმე და დახამბობდნენ ძარცვა-ვდნენ, წვაგდნენ და აზრებდნენ ქვეყასა.

ხედავდა ყოველივე ამას მეფე გორგი და ვერას ხდებოდა „რამეთუ არა-სადათ იყო ღონე ხსნისა და შეწყვიტისა“. ამიტომაც ქვეყნის მეგობრებმა გადაწყვიტეს გორგი მეფე სულთან მელიქ-შაჰს ხლებოდა. მეფე გორგი ისპაჰანს გაემგზავრა და სულთანს ეახლა.

მელიქ-შაჰი ცბიერი და ძლიერი პიროვნება იყო. მან გორგი მეფე ტყილად მიიღო და „განათავისუფლა ზედა მარბევალთაგან“. მაგრამ არც თუ უსასყიდლოდ. სამაგიეროდ, სულთანმა გორგისაგან „ხარაჯთა ითხოვა სამეფოსა მისისა“. გორგი მეფე იძულებული გახდა დათანხმებულიყო, ე. ი. ნებით ექლია სულთანისათვის ის, რაც აქამდე მისი ლაშქარი ძარცვით აკრებდა და რაზედაც თავის დროზე ბაგრატ მეორემ არაფრით არ დათანხმდა.

გარდა ამისა, მელიქ-შაჰმა გორგი მეფის ვითომცდა სასარგებლოდ, კიდევ ერთი მზაკვრული ნაბიჯი გადადგა. მეფე გორგის „მისცა კახეთიცა და ჰერეთი“, საქართველოს ის კუთხე, რომელიც შაჰს არასოდეს ეკუთვნებოდა. ეს იყო გერგული ჩანაფიქრი მშაჰ შორის შუღლისა და მტრობის გაღვივებისა, რაზეც, სამშვილდისაგან, წამოვიდა მეფე გორგი მეორე. იგი საქართველოში დაბრუნდა შაჰის ჯარით, რათა კახეთ-ჰერეთი დაეპოვებინა და „უქმთა სთვლისასა“ კახეთს მოადგა. მეფემ ვერცხის ციხეს ალყა შემოარტყა, რომელიც დიდხანს გაგრძელდა. ამასობაში დაზარალდა კიდევ.

გორგი მეფე ნადირობის ტრფივით იყო და როდესაც „მოესხნა ნადირობა აქამეთისა, არღარას ზრუნავდა სხუასა, არცა ელოდა აღებასა ვეფხისასა ქვა კახეთისასა, მიატოვა თურქთა ლაშქარი კახეთში, თავისი ჯარით გარდავლო მთა ლიხთა და მოვიდა აფხაზეთად“. თავაშვებულმა თურქებმა კახეთში ჯორჯი დაატარა, რის შედეგადაც ეს ქვეყანა „მოხარდა დღევანდელ დღემდე“. ი, სინანულით აღნიშნავს დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი.

გორგი მეფის პოლიტიკური სიბეცის შედეგი იყო ისიც, კახეთ-ჰერეთის მეფე აღსართანდაც მელიქ-შაჰს რომ ეწვია და დახმარება სთხოვა. შაჰი მას წყალობას დაჰპირდა, ოღონდაც, სამაგიეროდ, მაჰმადიანობაზე მოქცევა შესთავაზა. აღსართანი დათანხმდა და „დაუტყუე ქრისტიანობა და შეეძინა სარკინობა სჯულსა და ამით ღონით აიღო სულტანისაგან კახეთი“.

კვლავ ახალი, მაგრამ ამჟღავნებულ უფრო მძიმე უბედურება დაატყდა თავს ჩვენს სამშობლოს. კერძოდ, 1088-89 წლებში მოხდა უდიდესი მასშტაბის საშინელი მიწისძვრები, რომლებმაც „შეძრა ქუეყანა საფუძველთურთ, ესოდენ სასტიკად, ვიდრემდის მთანი მაღალნი და კლდენი მყარნი სახედ მტუერისა და იგაღვიეს, ქალაქნი და სოფელნი დაირღუეს, ეკლესიანი დაეცნეს, და სახლის დიანქეს და დაზღულეს, და იქმნეს საფლავ შინა მკვიდრთა... და განგრძელდა ესეგითარი ძრვა ქუეყნისა საშინელი ვიდრე წელიწდამდის, რომელსა შინა მოსწყდა სიბრავლე ურიცხვი“.

თავზარდაცემულმა გორგი მეორემ ყოველივე ეს, არც თუ უსაფუძვლოდ, მის თავზე დატეხულ ღვთის რისხვად მიიღო, მეფობაზე უარი თქვა და თექვსმეტი წლის დავითს, „მარტლდ შობისა გორგისაგან ოიეთ მაჰმადიან დადავა გვირგვინი მეფობისა“.

მოამზადა
გ. მენსიშვილმა
უზანთა ობოლადის ნახტავი.

ამჟერად, შეითხველებს ვთავაზობთ კონსტანტინე გამახსურდიას შეხ. ნიშნავ პუბლიცისტურ წერილს „გორგებულ საქართველო“, რომელიც ქართველი ფედერალისტების გაზეთის „სახალხო ფურცლის“ 1917 წლის 11 აპრილის ნომერში დაიბედა. სტატიაში ახსენა შაჰი საქართველოს იმპერიალიზმის ხარვეზი დაიბედა. სტატიაში ახსენა შაჰი საქართველოს იმპერიალიზმის ხარვეზი დაიბედა. სტატიაში ახსენა შაჰი საქართველოს იმპერიალიზმის ხარვეზი დაიბედა.

„გორგებულ საქართველო“

აწ მარტო დღევანდელი სოციალურ-პოლიტიკური ყოფა, ჩვენი ისტორიული ცხოვრებაც მუდამ ცენტრიდან მსარბოლელ უპროპორციო ძალებისაგან იყო გათიშული. თუ ერთი ნაწილი ქართველობისა მშენებლის, ერის მესაძიერკელის როლსა ჰქონდა, მეორე მისი „ხორცი სორცთაგანი და ძვალი ძვალთაგანი“, საქართველოს მეორე სწული ნახევარი, მუდამ რღვევის პროცესს უბრძობებდა ერის მშენებელთა ღრმად და საქმიანობას. უბედოლო მაგალითები ახსოვს ჩვენს მატინეს ამ გორგების, ერის ენერჯის გათიშვის ისტორიიდან. ამა მიზრძანეთ სიღ, რომელ ერის ისტორიაში იოვით იმდენ მოლატრეთ, თავისივე მშობელ ერის ინტერესების ფეხქვეშ გამეღვევლთ, როგორც ჩვენსაში? ასეთი ისტორიული მტრები ქართველებსა ისევ ქართველები ვახლდით ოსმალებისა და სარსელების დამსჯელ ექსპედიციებს წინ რომ უღლიდნენ. მარტო გორგი სააკაძის პიროვნება რათა ღირს ამ დებულების საილუსტრაციოდ.

კერძო აღმნიანი თუ ერის არსებაში ყველაზე ხმაბალო სისხლი მეტყველებს. ეს ისტორიული სენი თანამედროვე ქართველებსაც უნდრება ძველი ქართველების ერთმანაწილია.

სად, რომელ ქვეყანაში გსმენიათ, რომ ამა თუ იმ ერის ერთი ნაწილი ისტორიულად გაჰყოფილა: „თავისუფლება არ გვირდოა“!

ასეთ შემთხვევას მხოლოდ ჩვენში აქვს ადგილი.

1916 წლის 8 ივლისს ან. სტ. ქალაქ ლოხანაში ერთა III სამშვილდობო კონფერენცია იყო, ამ კონფერენციის დაესწრო თითქმის ყველა ევროპიული და აზიული ერების წარმომადგენლები: ფრანგები, გერმანელები, იტალიელები, ბელგიელები, შვეიცარიის ფრანგულად გერმანულ კანტონების წარმომადგენლები, ლატიშები, პოლონელები, ესტონელები, ფინლანდიელები, აზიდან: ოსმალები, კავკასიელი თათრები, ჩერქეზები, არაბები და სხვა.

მთელი ერის წარმომადგენელნი ერთმანდ დადიდებდნენ თავიანთ ერთგულ წყულებს განუკრებაზე, ყველას აქ წარმოედგინა თავისი საჩივარი. ყოველი ერის წარმომადგენლები სოლიდარულად გამოვიდნენ და წარედგინეს თავიანთი მოთხოვნები ინტერნაციონალურ სამსჯავროს.

ჩვენ ქართველებიც ვედავებოდით ძველი რუსეთის მოთხოვნას ჩვენი უფლების შესახებ. ჩვენი თანამემამულის მ. წერეთლის დასაბუთებულსა და დიდი ნიჭითა და უნარით დაწერილ დეკლარაციას თითქმის ყოველი ერის წარმომადგენელი აღფრთოვანებული ტაშით მიეგება. თვით ევროპელები მოსულ ფერადკანაან ერების წარმომადგენელთაც შეისმინეს უფლებაყარულ უმართებულად შეურაცხყოფილ ერის საჩივარი და გულსიტყვილი.

თამამად შეიძლება ითქვას — ვერც ერთი ერის წარმომადგენელს ვერ იპოვიდით აქ, ამ მრავალრიცხოვან კონგრესზე, რომ ჩვენი სამართლიანი უფლებების აღიარებისა და ჩვენი შელახული თავმოყვარეობის დაქაყოფილების წინააღმდეგ ჰქონოდა რამე.

მხოლოდ კონგრესის დარბაზის კარებთან ატუხულ, ლოხანელ და ენეველ რუსის საკონსულოს ჯამუშებას და აგენტებს ეტყობოდათ სახეზე უმეყოფილება, რომ ამ ინტერნაციონალურ სამსჯავროში ქართველების საპროტესტო ხმაც გაიშმა.

კონსტანტინე გამახსურდია
1917 წ.